

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და პოზიცია

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების სკრინინგის ანგარიშის თაობაზე

28 იანვარი 2019

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2019 წლის 17 იანვარს გამოაქვეყნა სკრინინგის განცხადება მესტიის მუნიციპალიტეტში, სს „ნენსკრა ჰიდროს“ ნენსკრა ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილი ცვლილებების თაობაზე. გვსურს წარმოვიდგინოთ ჩვენი შენიშვნები და პოზიცია წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაზე.

პროექტის საჭიროება

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რაც შეფასებული და წარმოდგენილი უნდა იყოს გზმ ანგარიშში, რომლის თანახმად, აუცილებელია წარმოდგენილი ყოფილიყო როგორც საქმიანობის და ადგილის ალტერნატივები, ასევე დასაბუთება არგანხორციელების (ნულოვანი) ალტერნატივის, რომელიც „3(ბ)გულისხმობს საქმიანობის განუხორციელებლობის შემთხვევაში გარემოს არსებული მდგომარეობის ბუნებრივად განვითარების აღწერას, რომლის შეფასებაც შესაძლებელია არსებული ინფორმაციის გამოყენებით და მეცნიერულ ცოდნაზე დაყრდნობით.“

ამავე მუხლის (ზ) ქვეპუნქტით გზმ ანგარიშში უნდა მოიცავდეს „გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედების შეფასებას და მისი აუცილებლობის დასაბუთებას, რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევადი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში“.

არც 2015 წელს წარმოდგენილ გზმ ანგარიშში და არც 17 იანვარს წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში ალტერნატივების შეფასება და პროექტის აუცილებლობის დასაბუთება კომპანიის მიერ წარმოდგენილი არ არის. უფრო მეტიც, სკრინინგის ანგარიშის თანახმად, კომპანიას მიაჩნია, რომ ის მოკლებულია შესაძლებლობას განმარტება გააკეთოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნაზე პროექტის შესაძლო საფრთხეებთან დაკავშირებით, ვინაიდან თვლის, რომ სამინისტროსთვის გამოგზავნილი ინფორმაცია წარმოადგენს მწვანე ალტერნატივას არასწორად ინტერპრეტირებულ დოკუმენტს. მწვანე ალტერნატივას მიერ სამინისტროსთვის გაგზავნილი ნარკვევი „ნენსკრა ჰესი-ფისკალური საფრთხე საქართველოსთვის“ სრულად ეფუძნება სავალუტო ფონდის ოფიციალურ შეფასებას, რომლის ბმული მოცემულია ამავე ნარკვევში. სიმარტივისთვის სავალუტო ფონდის ოფიციალურ შეფასებას დანართის სახით გიგზავნით ამ შენიშვნებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ სავალუტო ფონდის დასკვნის გარდა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაკვეთით, მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგ ვუწევთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ.39ბ, IV სართ.
ტელეფონი: (995 32) 222 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

მომზადდა ჰესებზე გაფორმებული გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებების ზემოქმედების შეფასება ქვეყნის ფისკალურ ხარჯებსა და ელექტროენერჯის ტარიფზე, სადაც მთავარ საფრთხედ კვლავ ნენსკრა ჰესის პროექტია მიჩნეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სავალუტო ფონდის ოფიციალური შეფასების გარდა ჩვენს შენიშვნებს თან ვურთავთ მსოფლიო ბანკის ექსპერტების მიერ მომზადებულ დოკუმენტის ოფიციალურ ვერსიასაც.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ამ ორი დოკუმენტის საფუძველზე გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა უნდა გამოიყენოს საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-14 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილება გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან „ბ) გზშ-ის ანგარიშით ან/და ექსპერტიზის დასკვნით დგინდება გარემოზე ზემოქმედების ხასიათის და მოცემულობის მიუღებლობა, გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენციის შეუძლებლობა ან/და გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების შეუძლებლობა“.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის კვლევა: „საქართველო: ფისკალური გამჭვირვალობის შეფასება“; „3.2.4. Public-Private Partnerships (Not Met)“; გვ. 51; See:

<https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2017/09/27/Georgia-Fiscal-Transparency-Evaluation-45274>

“Assessment of Fiscal Costs and Tariff Impacts of Power Purchase Agreements” - Final Note; February 22, 2018; See: http://greenalt.org/wp-content/uploads/2018/09/Assessment_of_HPP_Cost_2018.pdf

ადგილობრივი მოსახლეობის საჩივარი აზიის განვითარების ბანკში

2017 წლის ნოემბერში ადგილობრივმა მოსახლეობამ სარჩელი შეიტანა აზიის განვითარების ბანკის შესაბამისობის განხილვის პანელში (CRP). CRP-ს ანგარიშის მიხედვით, “CRP მიიჩნევს, რომ ექსპლუატაციისა და მშენებლობის პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის და საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული ზემოქმედებები არ არის ადეკვატურად შეფასებული და შემარბილებელი ღონისძიებები განსაზღვრული. CRP-ს აზრით, არსებობს პირველადი მტკიცებულებები, რომ ზემოქმედების არასრულყოფილი შეფასება და შემარბილებელი ღონისძიებები სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს ადგილობრივი მოსახლეობის კეთილდღეობას. ტრადიციული მიწათსაკუთრების უფლებების არასრულმა შეფასებებმა შესაძლოა გამოიწვიოს ეკონომიკური განსახლებისთვის არაადეკვატური კომპენსაცია. CRP მიიჩნევს, რომ აზიის განვითარების ბანკის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან მუდმივი შეუთავსებლობის სტატუსი უშუალოდ გამოიწვევს ამ ზიანს, რომელთა მატერიალიზაცია მოხდება სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას და შემდგომი ექსპლუატაციის დროს. (იხ. პუნქტები 24, 29, 52, 57 და 65).“

„CRP ხაზს უსვამს პირველადი მტკიცებულების შეუსაბამობას, და მასთან დაკავშირებულ სავარაუდო ზიანს, რომელიც გამოწვეულია:

- i. პროექტის ალტერნატივების შეზღუდულ შეფასებასთან (წინამდებარე ანგარიშის 24-ე პუნქტი);
- ii. დაკავშირებული ობიექტების ეკოლოგიური ზემოქმედების არასაკმარის შეფასებასთან (წინამდებარე ანგარიშის 29-ე პუნქტი);
- iii. ხმაურისა და ვიბრაციის ზემოქმედების არასაკმარის შეფასებასთან მშენებლობისა და ოპერაციების დროს და ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების რისკების არასაკმარისად შეფასებასთან (წინამდებარე ანგარიშის 52-ე პუნქტი);
- iv. გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმის (ESMP) არასრული სტატუსი და ზემოქმედების შეფასების დელეგაცია და EPC-ის კონტრაქტორებს შემარბილებელი ღონისძიებების პროექტი (იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 57-ე პუნქტი); და
- v. სამოვრების ტერიტორიის არანებაყოფლობითი განსახლებისთვის არასრულყოფილი შემარბილებელი ღონისძიებები. (იხილეთ წინამდებარე ანგარიშის 65-ე პუნქტი).

- vi. 73. ანგარიშვალდებულების მექანიზმის 179-ე პუნქტის შესაბამისად, CRP საჩივარს მიიჩნევს დასაშვებად. 182-ე პუნქტის შესაბამისად, CRP რეკომენდაციას აძლევს საბჭოს მოახდინოს წინამდებარე პროექტის შესაბამისობის ანალიზი.

CRP ს დასკვნა სრულად ეთანხმება ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ შენიშვნებს.

დანართი: აზიის განვითარების ბანკის შესაბამისობის ანალიზის კომიტეტის საბჭოს ანგარიში და შესაბამისობის ანალიზის პანელის ანგარიში პროექტის # 49223-001 - ნენსკრას ჰიდროელექტროსადგურის პროექტი (საქართველო) შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნის დასაშვებობასთან დაკავშირებით; <https://bit.ly/2ThosNH>

პროექტის ტექნიკური პარამეტრების ცვლილება

სკრინინგის ანგარიშიდან ირკვევა, რომ ნენსკრა ჰესის პროექტმა, რომელზეც 2015 წლის ოქტომბერში გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა განიცადა მნიშვნელოვანი ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებები და პრაქტიკულად მიღებულია ახალი პროექტი. ამასთან განხორციელდა ბუნებრივი და სოციალური გარემოს დამატებითი კვლევები, რომლის შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ იყო 2015 წელს, როდესაც სამინისტროს მიერ გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რასაც ადასტურებს სკრინინგის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციაც. პროექტის ტექნიკური, ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ცვლილებებიდან აღსანიშნავია:

- კაშხლის ღერძის ცვლილება - მარჯვენა ბურჯი გადაადგილება 100 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით, ხოლო მარცხენა ბურჯი 50 მ-ით ზედა ბიეფის მიმართულებით;
- კაშხლის სიმაღლის ცვლილება-ნენსკრას კაშხლის სიმაღლე 135 მ-დან შემცირდა 125 მმდე და შესაბამისად შემცირდა წყალსაცავის სარკის ზედაპირის ფართობი 3.0 კმ²-დან, 2.7 კმ²-მდე;
- კაშხლის კონსტრუქციის ცვლილება-ქვანაყარი კაშხლის თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული ასფალტის გული, შეიცვალა ასფალტის ეკრანით;
- ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრის ცვლილება-პროექტის თავდაპირველ ვარიანტთან შედარებით ორჯერ გაიზარდა ნენსკრას კაშხლიდან ეკოლოგიური ხარჯის გასატარებელი მილის დიამეტრი (ეკოლოგიური ხარჯის რაოდენობა არ შეცვლილა);
- ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმის გაზრდა-ნენსკრას კაშხლის სამირკველში არსებული ალუვიური ნალექების ეროზიის რისკის შემცირების მიზნით, ჰიდროსაიზოლაციო კედლის სიღრმე ნაცვლად თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული 65 მ-სა, მიღებულია 85 მ;
- ნაკრას წყალმიმღების ადგილმონაცვლეობა- ნაკრას წყალმიმღების და წყალგამტარი გვირაბის შესასვლელი პორტალის ხეობის ზედა ნიშნულზე გადანაცვლება დაახლოებით 622 მ-ით;
- ნაკრას წყალმიმღები გვირაბის დიამეტრის ცვლილება, კერძოდ დიამეტრის შემცირება 4.5 მ-დან 3.5 მ-დე; და
- თავდაპირველ სქემასთან შედარებით 4 ტურბინის ნავლად იგეგმება 3 ტურბინის დამონტაჟება.

აღნიშნული ცვლილებებიდან ნათელია, რომ პროექტი რომელზეც გაიცა დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა 2015 წელს როგორც ტექნიკურად და ტექნოლოგიურად, ისე ადგილმდებარეობის თვალსაზრისითაც განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები და მივიღეთ თვისობრივად სხვა პროექტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა იხელმძღვანელოს მე-5 მუხლის მე-12 ქვეპუნქტითა და მე-5 მუხლის პირველი ქვეპუნქტის შესაბამისად, კერძოდ, მუხლი 5(12)-ის თანახმად, „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“; ხოლო მუხლი 5(1)-ის მიხედვით საქმიანობა ექვემდებარება გზმ-ს, ვინაიდან ნენსკრა ჰესი წარმოადგენს პირველი დანართით განსაზღვრულ საქმიანობას (2 მეგავატი და მეტი).

ფონური მდგომარეობის ცვლილება

ნენსკრა ჰესის პარამეტრების ცვლილების გარდა, შეცვლილია მთლიანად ჭუბერის ხეობის და საპროექტო არეალში არსებული ბუნებრივი და სოციალური გარემოც 2018 წლის 5 ივლისს განვითარებული სტიქიური მოვლენის შედეგად.

ილიას უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის ინფორმაციით, „ნენსკრას ხეობაში, 5 ივლისს მომხდარი კატასტროფის მიზეზების შესწავლისას, სატელიტურმა მონაცემებმა გვაჩვენა რომ თოვლის და მყინვარების სეზონურმა დნობამ და 4 ივნისის ინტენსიურმა წვიმამ გამოიწვია მდ. ნენსკრას აუზის მდინარეების ადიდება. თუმცა, კატასტროფამდე და კატასტროფის შემდეგ გადაღებული სატელიტური გამოსახულებების დეტალური ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მდ. ნენსკრას განსაკუთრებული, კატასტროფული ადიდება გამოიწვია მის მარჯვენა შენაკად მდ. ჰოკრილას ერთ-ერთ სათავეში ახალწარმოქმნილ მყინვარულ ტბაზე განვითარებულმა მოვლენებმა რომლებიც დამატებით კვლევას საჭიროებს.“¹

კლიმატის ცვლილების შედეგად გააქტიურებულ ბუნებრივ მოვლენებზე არის გამახვილებული ყურადღება საკონსულტაციო ჯგუფი გეოგრაფიკის შეფასებაშიც: „კლიმატის ცვლილება კავკასიონზე ძალიან საინტერესო, და ამავდროულად მაღალი საფრთხის შემცველ, ბუნებრივ ფენომენებს (მოვლენა, პროცესი, პროცესთა ჯაჭვი და ა.შ.) გვთავაზობს, მათ შორის ისეთებს, როგორც ეს გასული 72 საათის განმავლობაში მყინვარად განვითარდა და ასეთივე მყინვარებით (დავარქმევდი მხოლოდ გამართლებას) „ჩაცხრა“ – მყინვარის სხეულში წყლის დაგროვება ტბის სახით, რომელიც ან ანგრევს დამგუბებელ მასას და ტრანსფორმირდება ღვარცოფად, ან პოულობს გასასვლელს და მშვიდად იწრითება – როგორც ეს ლეხზირის მყინვარზე 2 დღეში დაგროვებულ 300 000 კუბ.მ-ზე (7.2 ჰა×5 მ) მეტი მოცულობის ტბის შემთხვევაში მოხდა.... ამხელა ტბა გაჩნდა და დაიწრითა 2.-3 დღეში... ასეთი ადგილები (სადაც უკვე ჩანასახშია ასეთი მყინვარული და შესაძლო დამანგრეველი ბუნების მქონე ტბების სწრაფად – რამდენიმე საათში – დაგუბება) საქართველოში საკმარისია პრობლემების შექმნისთვის.“ შესაბამისად, ნათელია, რომ გლობალური კლიმატის ცვლილების ზეგავლენა საპროექტო არეალზე კიდევ უფრო გამწვავდება, რაც ნენსკრა ჰესის საპროექტო დოკუმენტაციაში შეფასებული არ არის.

აღნიშნული საკითხები შესწავლილი უნდა იყოს როგორც ახლად გამოვლენილი გარემოებები და შეფასდეს გარემოს ზეგავლენა უშუალოდ პროექტზე. როგორც თქვენთვის ცნობილია დარიალ ჰესთან მიმართებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დამოუკიდებელმა გასაჩივრების მექანიზმმა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ერთ-ერთ მთავარ ნაკლოვანებად მიიჩნია ის ფაქტი, რომ გზმ ანგარიშში შეფასებული იყო პროექტის ზეგავლენა გარემოზე თუმცა არა გარემოს ზეგავლენა უშუალოდ პროექტზე². სიმარტივისთვის აღნიშნულ დასკვნაც თან დაერთვება შენიშვნებს.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს აქვს შესაძლებლობა, იხელმძღვანელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-9 პუნქტით და

¹ https://www.youtube.com/watch?reload=9&v=IhSo0plc_wY

² <https://www.ebrd.com/work-with-us/project-finance/project-complaint-mechanism/pcm-register.html>

მიიღოს გადაწყვეტილება საქმიანობის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან ამ ეტაპზევე ნათელია, რომ პროექტს ექნება შეუქცევადი/მიუღებელი გარემოზე ზემოქმედება, შეუძლებელი იქნება გარემოზე ზემოქმედების რისკის პრევენცია და სრულყოფილი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება.